ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

მიიღება განცხადებები
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5.
კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეოთხე
ხუთშაბათი. მარტი 11 1920 წ. № 54
ფასი 5 მან.

გაზეთ „საქართველო“-ს გასაყიდად
ქუჩებში გვესაჭიროება მოზრდილი
ბავშვები
იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

სახელმწიფო თეატრი
ეველახიშვილის ხელმძღვანელობით
დღეს მარტის 11-ს
ტრავიატა

კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს **ნიკო კაიშაური**.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან.
4 3 13

დუშეთის მაზრის ერობა
საჭიროებს
ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს,

მეღვინე მევენახეობისას, მეხილ-მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე მეძროხეობისას

აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან.

ინსტრუქტორებს 4500 მან. და საგზაო 1000 მან.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქალ. დუშეთში დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებით აღწერა მათი მოქმედების და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ.



ქიმერიონი
ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21,)
ყოველ დღე დილის 1—5 საათამდე.
◆●◆ სადილი ◆●◆
ხუთშაბათს მარტის 11
პროგრამა:
1) საპოლიციო ნაწილში— რუდაკოვ ს ანეკდოტი. 1) ფაიკერის კურანტები—ზუკინინის დადგმა. 3. დენდის სიმღერები—შეს რულებს სანდრო კორონა. 4) ინტიმიური რომანსები—შეასრულებს მ. მარკოვი) 5. დედაკაცები—ნემოლიახოვის ლუმოკი. 6) იუმორისტი—ვალ რი მეჯ...
შაბათს მარტის 13 დიდი საღამო ქართულ საქველმოქმ საზ ბის სასარგებლოდ.
ხელმძღვანელი კონსტან ანდრონი.
კონფერასიე შავი ნიღაბი. დასაწყისი საღ. 11 ნახ. საათზე.

ქირავდება
მაღაზიის ერთი თვალი
ოლღას ქუჩაზე № 28, კოოპერატივ „დახმარების“ გვერდით.
პირობების გაგება შეიძლება გვერდზედ კოოპერატივის მაღაზიაში.

ამ დღეებში გაიხსნება რესტორანი
„არწივი“
(ერევნის მოედანი, თამამშევის პასსაჟი)
●● კაბარე ●●
„მხიარული არლეკინი“
მოწვეულნი არიან საუკეთესო არტისტები: როსტოვიდან, ეკატერინოდარიდან და ოდესიდან. ტრუპას ხელმძღვანელობს კავკასიაში ცნობილი ადმინისტრატ.
ფ. ს. ალექსანდროვი.
დაწვრილებით იქნება გამოცხადებული აფიშებში.
კონფერანსიე ? დირექცია ბაქოს ამხანაგობისა. 2952 3—1

დღეს, 11 მარტს უკანასკნელად

მიხეილის
ალკაზ
პლეხანოვის ქ. 91

ახალი დადგმა
გუბერტ და ერნესტ გარიშკოსი საზღვარ-გარეთის სახელგანთქმული
კინო-ტრაგედია
„რა ძალუძს დედაკაცს“
5 მოქმ. სიუჟეტი რომანიდან „ქალის გულისთვის“.
თეატრი ითბობა. სიმფონიური ორკესტრი.

!!! საგაზაფხულო სეზონის ნობათი !!!

კინემო მინიონი
მარტის 11, 12 და 13-ს

ა. ბრიზეს გამოცემულ პიესით „განწირული“
ასეთია ცხოვრება...
კინო-დრამა შექმნილი ზამთარში „ძმ. პატე“-ს ატელიეში პარიზში. მთავარ როლში პარიზის თეატრის მსახიობი ქალი და პეტროგრადის მიხეილის თეატრის მსახიობის
M-ᵐᵉ მ ქენის მონაწილეობით
დასასრული: გულჩვილი ლუსენი

ქართული კლუბი
ხუთშაბათს 11 მარტს
ქართული დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება
1
სიზმარი კოშკში
დრამა ესკიზი 2 სანახავად—კონსტან. ანდრონი
2
ლალატი
დრამა ლეგენდა 5 სურათად
საქმის და დროს კითხვისთვის
მარკ ორ შალიკოსი
მონაწილეობენ: ქ. ქ. ვ. ანჯაფარიძე, ზ. გაბრიელი, ს. ეპიტაშვილი, ან. ქიქოძე, ე ციბაკურიძე. ბ.ბ. მ გილოვანი, მ. ჭიაურელი, დ. ძნელაძე, გ. ფრონისპირელი, ა. ვასაძე, გ. სარჩმელიძე, მ. საროული, შ. ლამბაშიძე
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი დასაწყ. საღ. 9 საათზე.
კლუბში შესვლა საზოგადო წესით
43 2—2



პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „კრისტენს“
ვერის დაღმართზე. ტელ. 5 62.
ხუთშაბათს მარტის 11-ს 1920 წ.
მრავალი სიახლე. დღეს **პირველი გასტროლია** კლაისა და კლაის ყველასათვის საყვარელის, ქალთა სალონების ცნობილ აკრობატების. იჩქარეთ ნახოთ! რაც არაჩვეულებრივია. თბილისის საზოგადოებას ჯერ ასეთი აკრობატები არ უნახავს. მეორე გასტროლია ცნობილ საპარტნერო აკრობატების რომაელ გლადიატორების **2 გლორიო 2**
ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წ. მსოფლიო ფალავნის წოდების მისაღებად. გადამწყვეტი ჭიდაობა: **„ნეიზვესტნი“** წინააღმდეგ **„შავი ნიღაბის“**. **„ნეიზვესტნის“** დაბეჯითებითი განცხადების შემდეგ, რომელიც აცხადებს, რომ ორშაბათს მარტის 2-ს არბიტრმა უკანონოდ გამოაცხადა დამარცხებულად, და კიდევ ამ საკითხის გამოურკვევლობის გამო დღეს ინიშნება გადამწყვეტი ჭიდაობა: 1) **„შავი ნიღაბი“ — „ნეიზვესტნი“**
2) ჯივანი — ვ. უ. 3) ხვთიაშვილი—ზუივოლოვი
დღეს კონტრამარკები არ გაიცემა
დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

მედ. ცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი,** დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე **მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. შესავალი ეკლესიის ჭიშკის კუთხიდან.**

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12 1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკურ წრეებში ისე ალიძრა საკითხი ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევის საჭიროებისა.

აზერბაიჯანის მთავრობამ ამ კონფერენციის საგნათ სამი მეზობელი რესპუბლიკის კონფედერატიულ კავშირად შეკვრის საკითხი დასვა.

საგულისხმოა, რომ ეს საკითხი,— კონფედერატიულ კავშირის შესახებ, სწორედ მაშინ ჩნდება ამიერკავკასიის პოლიტიკურ სცენაზედ, როდესაც განწყობილება, რომელიმე მეზობელ რესპუბლიკათა შორის, გამწვავებულ ხასიათს მიიღებს.

ასე მოხდა დღესაც: აზერბაიჯანის და სომხეთის შორის მდგომარეობა დღეს განსაკუთრებით დაჭიმულია და სისხლის ნიაღვარი სდის ზოგიერთ სომხეთის და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ადგილებს; საქართველო აზერბაიჯანის ცაზედაც ამოვიდნენ ისეთი ღრუბლები, რომლებიც არ იყვნენ მოსალოდნელი—აი ასეთს მომენტში, სამივე რესპუბლიკის მთავრობები, ურთიერთის შორის მიმართვაში საჭიროდ სცნობენ ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეკრებას, ხოლო აზერბაიჯანი კი, მათი კონფერენციის საგნად, ამ რესპუბლიკათა კონფედერაციის საკითხის განხილვას ისახავს.

რას ნიშნავს კონფედერაცია!

სახელმწიფოებრივი უფლება, თეორიტიულად მას სახელმწიფოთა კავშირის სახეს აძლევს, მაგრამ თავის პრაქტიკულ განხორციელებაში, იგი იმდენათ პრობლემატიურია, რომ როგორი დიაპაზონისაც გსურთ, ისეთს მცნებას მისცემთ მას.

კონფედერატიული კავშირის გასამართლებლად, ისტორიულ მაგალითებს ჩვენ ვერ მივმართავთ, რადგან ამ მაგალითებით ჩვენ მხოლოდ დავინახავთ კონფედერაციის დროებით და ხან-მოკლე ხასიათს დღეს, ეს ფორმა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა, იმ სახით, როგორც მას უფლების თეორია გულისხმობს, არსად არ არსებობს—ასეთი ხან-მოკლე იყო ამერიკის კოლონიების კონფედერაცია ინგლისის წინააღმდეგ, ან და ნიდერლანდიელების კავშირი ისპანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ყოველთვის კონფედერატიულ კავშირს, საფუძვლად ჰქონია რაიმე განსაკუთრებული მიზანი და ასეთი კავშირის მაგალითად შესაძლოა ანტანტაც მივიჩნიოთ; ეს კავშირი მხოლოდ სამხედრო ხასიათის არის და არაფრით არ ზღუდავს არც ერთ სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას და სრულებით გარეშე სდგას მათს შინაურ წყობილებაზედ, ან და რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანის, სხვა სახელმწიფოსთან ეკონომიურ ალიანსზედ ზე-გავლენისაგან.

ასეთივე ხასიათის სამხედრო კავშირით, საქართველო კიდეც შეეკრა აზერბაიჯანს და საკმარისი იყო ამ კავშირში შემოსულიყო სომხეთის რესპუბლიკაც, რომ მას უფრო მტკიცე და დამარწმუნებელი ფორმა მისცემოდა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკანი, ისეთი მჭიდრო ინტერესებით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ მათი გათიშული მოქმედება, უსათუოთ მავნე და სახიფათო იქნებოდა, თითეული მათგანის არსებობისათვის; მაგრამ, რაც მეტად გასაკვირია, ყოველი მათგანი გრძნობს ამ საჭიროებას, ყოველი მათგანი საჯაროდ აცხადებს, რომ მზად არის ამ კეთილ მეზობლურ განწყობილების გზას დაადგეს, მაგრამ საქმე რომ საქმეზედ მიდგა, ყოველი მათგანი კბილებს ილესავს და აფერხებს ამ კავშირის დამყარებას.

დღეს ეს საკითხი ისევ ცხოველ ინტერეს იწვევს და გარკვეულად ლაპარაკობენ „კონფედერაციის შესახებ.

ეს საკითხი კონფედერაციის შესახებ, დასმული იყო ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნულ საბჭოში და მაშინ მენშევიკებმა სათანადო პროექტებიც კი წარმოადგინეს; ჩვენ მაშინ წინააღმდეგნი ვიყავით იმ პროექტის, რადგან თითეულ სახელმწიფოს სუვერენული უფლებები, ამ პროექტით ისე შეკვეცილი იყო, რომ სამ სახელმწიფოს მაგიერ, ერთი სახელმწიფო იქმნებოდა—ასეთი ფორმის წინააღმდეგ ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგნი ვიქნებით, რადგან ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის განმტკიცება;

კავშირი ამ სახელმწიფოთა შორის უნდა დამყარდეს, მაგრამ ეს კავშირი უნდა იყოს თავისუფალი, თითეული სახელმწიფოს ინტერესებით ნაკარნახევი და, ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მეზობლები შეიგნებენ ამ კავშირის საჭიროებას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობა მიიღებს ნორმალურ, კეთილ მეზობლურ და მეგობრულ განწყობილებას!

დამფუძნებელი კრება
9 მარტის სხდომა

ს. ფ. შეკითხვა ბათომის ოლქის შემოერთების შესახებ ს.-დ. ფრაქციის წინადადებით გადაიდო შემდეგი სამშაბათისთვის.

შეკითხვა თამბაქოზედ მონოპოლიის გამოცხადების შესახებ (გრძელდება კამათი).

ჯერ ჩვენ ბავშვებისათვის უფასო სწავლა ვერ მოგვიწყვია, და როგორ შეგვიძლია ჩვენი მინისტრებისათვის ხელშეკრულების დაწერის სასწავლებლად მილიონები გავიღოთ.

ს. დადიანი. უსაყვედურებს მთავრობას, რომ მათ ვერ შესძლეს მონოპოლიის განხორციელება. აკრიტიკებს მთავრობასა და ინგლისურ ფირმა „კოსმოს“ შუა დადებულ ხელშეკრულებას, თამბაქოს გაზიდვის შესახებ და დაასკვნის რომ ეს ხელშეკრულებაც ისე როგორც „სიბუნიონის“ ხელშეკრულება, ნიმუშია მთავრობის სრული უვიცობისა. რომ ეს დიდად საზარალოა რესპუბლიკისათვის და დასძენ რომ თუ „სიბუნიონს“ ჩვენ შემთხვევით გადაურჩით, შესაძლებელია რომ „კოსმოსს“ ველარ გადაურჩეთ.

იგი იხსენებს ჭავჭავაძის მოადგილე ქარცივაძის ისტორიას იტალიურ ფირმა „მასალთან“ თამბაქოს შესახებ დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მილიონები დაჰკარგა ჩვენმა რესპუბლიკამ. (მენშევიკებიდან—შეუცდომელი კაცი არ არის) ბატონებო ჩვენ ჯერ ბავშვებისათვის უფასო სწავლება ვერ მოგვიწყვია, და როგორ შეგვიძლია იმისათვის, რომ ჩვენმა მინისტრებმა ხელშეკრულების დაწერა ისწავლონ, მილიონები გადავიღოთ.

ბ-ნი დადიანი არ არის ჯერ ისეთი ავტორიტეტი ფინანსიურ ეკონომიურ საკითხებში, რომ ჩვენ იმას დაუჯეროთ.

ქ ნინიძე აღნიშნავს, რომ ხსენებულ შეკითხვის მთავარი ელემენტია ის თუ რა შედეგს გამოიღებს ამ მონოპოლიის გამოცხადება, ავნებს თუ არა ის თამბაქოს წარმოებას? და ამ კითხვებზედ ის უპასუხებს, რომ გამოცხადებული მონოპოლია სრულის სისწორით ტარდება მითი კმაყოფილია თამბაქოს მწარმოებელთა ჯგუფი, და ეს საწინდარია იმისა, რომ მონოპოლიის გამოცხადება არ დასცემს ჩვენში თამბაქოს კულტურასო.

იგი უადგილოთ და შეუფერებლად სცნობს დადიანის მიერ „კოსმოსთან“

დღეს:

მურმანის მიმართულებით ბოლშევიკები წინ მიდიან.

ბოლშევიკებმა ჩეხო-სლოვაკიას მიმართეს საზავო წინადადებით, რომელშიც აღნიშნავენ კომერციულსა და მეგობრულ დამოკიდებულობის აღდგენის საჭიროებას.

წერილები:

მეთაური—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია.
ჩერჩილის დეკლარაცია.
აზერბაიჯანი და საბჭოთა რუსეთი.

ვაჭრობა-მრეწველობა.

დადებულ ხელშეკრულების ჰკრიტიკებს ს. და დასძენს, რომ დადიანს ჯერ არ მოუპოვებია ისეთი ავტორიტეტი ფინანსიურ-ეკონომ. საკითხებში, რომ ჩვენ მას დაუჯეროთ.

ორატორი აღნიშნავს რომ დამფუძნებელ კრების წევრებს საშუალება არ აქვთ გაიგონ ის რას აკეთებენ მთავრობაო. რადგანაც მთავრობის წევრები საჭიროდ არ სცნობენ მათ საბუთები აჩვენონო.

„კოსმოს"-თან დადებული ხელშეკრულება არ არის საზარალო რესპუბლიკისათვის მომარაგების მინისტრის ამხან. ჭ ვანიძე უარსაჰყოფს ბ-ნ ვეშაპელის ბრალდებას. ვითომც ისინი უცხოელებს აძლევდნენ უპირატესობას ხელშეკრულების დროს ვინემ ადგილობრივ მკვიდრთ, არ ეთანხმება აგრეთვე შემკითხველს ვითომც მონოპოლიის გამოცხადების ბრალია რომ წელს თამბაქოთი ნაკლები სივრცე დაითესა, ეს მისი აზრით გამოწვეულია სურსათის სინაკლულით. „კოსმოსთან" დადებული ხელშეკრულება მისი აზრით არ არის საზარალო რესპუბლიკისათვის. უსამართლოა დადიანის განცხადება ვითომც ამით რესპუბლიკა მილიონებს ჰკარგავდესო.

სწყდება კამათი, შემოდის 3 გადასავალი ფორმულა, მათ შორის ერთი ს. დემოკრატების—მოისმინა რა დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის განმარტება თამბაქოს მონოპოლიის შესახებ, დამაკმაყოფილებლად სცნო და გადადის მორიგ საკითხზედ.

ხმის უმრავლესობით ჩვეულებრივად მიიღეს ს. დ. გადასავალი ფორმულა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს რომ მართალი არის ბ-ნი დადიანი როდესაც ამბობს რომ მთავრობის წევრები საჭიროდ არა სცნობენ დამფუძნებელ კრების წევრებს აჩვენონ საქმეებიო. სრული სიმართლეა და ჩვენ გვაიძულებს ასე მოვიქცეულიყავით, რადგანაც აღმოჩნდნენ დამფუძნებელ კრების წევრების შორის ისეთი იურისტები, რომლებიც სპეკულიანტებს საქმეებს უწყობდნენო, (ს. ფ. ვინ არის დაასახელეთ).

მე პიროვნებას არ დავასახელებ ხოლო იმას კი გეტყვით მოიკითხეთ თქვენს ფრაქციაში და ნახავთ. (ს. ფ. ფრაქციაში ჩოჩქოლია).

პირადი განცხადება
მე თვით ჩემ თავს ვასახელებ

თ. ბარათაშვილი აცხადებს, რომ თუმცა პირადათ ის არავის დაუსახელებია მაგრამ ის თვით ასახელებს თავის თავს. ბ-ნ მინისტრის ამხანაგს სწორედ ის ჰყავს სახეში სპეკულიანტების დამცველად.

ის ასახელებს ერთ შემთხვევას როდესაც ერთ-ერთ კომერსანტს, მიჰყვა ბ-ნ ჭიჭინაძესთან რომ გაეგო ის პირობები რომელსაც უკანასკნელი უყენებდა, მას თუთუნის გატანის შესახებ. იგი დარწმუნებული იყო მის პატიოსნებაში და როცა მინისტრის ამხანაგიდან გაიგო რომ ის სპეკულიანტი იყო ახლოსაც აღარ გაჰკარებია.

ვეშაპელის შეკითხვა ქვეშევრდომობის კანონის გატარების შესახებ აფხაზეთში (კამათი გრძელდება).

შინაგან საქმეთა მინისტ. ამხანაგი ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქვეშევრდომობის კანონი სრულის სისწრაფით ტარდება. აფხაზეთის კომისარიატს არ შეუშლია ხელი კანონის გატარებისთვის იმით, რომ მათ სთარგმნეს ხსენებული კანონი რუსულად და გამოაქვეყნეს. ეს ჩვენი ვალი იყო ვინაიდან იქ მცხოვრებ უმრავლესობას ქართული ენა არ ესმითო. მათი ნაბიჯი მით უფრო მიზან შეწონილი იყო, რომ მაშინ უნდა მომხდარიყო აფხაზეთში დამფუძნებელ კრების დეპუტატების არჩევნები და საჭირო იყო იქ მცხოვრებთ სცოდნოდათ ჩვენი ქვეშევრდომობის კანონიო.

ყოველ კუთხეს საკუთარი რამიშვილი ჰყავს

გ. ვეშაპელი ხაზს უსვამს იმას რომ მდგომარეობა არც ისე მარტივია, როგორც მინისტრის ამხანაგმა აღნიშნა. ის ამტკიცებს, რომ აფხაზეთის კომისარიატმა გადაბეჭდა და გამოაქვეყნა კანონი მაშინ როცა მოქალაქედ ჩაწერის დრო ამ კანონის ძალითვე გასული იყოვო. კომისარიატმა კი გამოაცხადა რომ მოქალაქედ ჩაწერა შეუძლიათ დღიდან კანონის რუსულად გამოქვეყნებისა სამი თვის განმავლობაშიო. ეს საშუალებას აძლევდა იქ მყოფ უცხოელებს, რომელნიც სრულიად დაკავშირებული არ არიან აფხაზეთთან, საქართველოს მოქალაქეებად ჩაწერილიყვნენ, ამასთანავე ის აღნიშნავს, რომ მოსამართლეთ არ ჰქონდათ უფლება თხოვნები მიეღოთ (მოქალაქედ ჩარიცხვის შესახებ) მას შემდეგ, რაც კანონით მათი მიღების ვადა გაიარა.

ის აღნიშნავს იქაურ მუშათა საბჭოში 30 იანვრის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენლის რამიშვილის დაპირებას, აფხაზეთისადმი მთავრობას აზრადა აქვს თქვენი ავტონომიის გაფართოებაო. და აგრეთვე იმას, რომ მან სთქვა—დამფუძნებელ კრების არჩევნებში მანდილოსნის მიღების უფლება ყოველ უცხოელს აქვსო (ხმები—რომელი რამიშვილი იყო ეს? ვეშაპელი—ეს მინისტრი რამიშვილი არა—იქაური რამიშვილია, ყოველ კუთხეს თავისი საკუთარი რამიშვილი ჰყავს).

ის აღნიშნავს, რომ ხსენებული ნაბიჯი აფხაზეთის საბჭოსი კანონის გარეშე და ამიტომ დამფუძნებელმა კრებამ თავისი მსჯავრი უნდა დასდოს მათო.

ვეშაპელს უნდოდა ამით აფხაზეთში მოგზაურობა აღენიშნა

ვეშაპელს უპასუხებს ქალი დეპუტატი **სოლოღაშვილი**, რომელიც ჩვეულებრივი მენშევიკური მეთოდით აკრიტიკებს შეკითხვის უსაფუძვლობას და დასძენს, რომ ეს შეკითხვა გამოწვეულია იმით, რომ ვეშაპელს სურდა თავისი მოგზაურობა აფხაზეთში აღენიშნაო.

კამათი სწყდება. შემოდის რეზოლიუცია ს.-დემოკრ.: დამფუძნებელმა კრებამ, მოისმინა რა შეკითხვა გრ. ვეშაპელისა ქვეშევრდომობის კანონის გატარების შესახებ აფხაზეთში, უსაფუძვლოდ სცნო იგი და გადადის მორიგ საკითხზე.

რეზოლიუციის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ბ-ნი **გ. გვაზავა**. იგი აღნიშნავს, რომ ვეშაპელის შეკითხვა საფუძვლიანი იყო, მაგრამ თვით მთავრობამ და ს. დემოკრ. ფრაქციამ დაიწყო უსაფუძვლო ლაპარაკი. ორატორი მოითხოვს, რომ დამფუძნებელმა კრებამ უშედეგოდ არ ჩაატაროს ეს შეკითხვა და აღიმაღლოს ხმა, რომ მომავალში მაინც აღარ ჰქონდეს ადგილი განაპირა კუთხეებში ჩვენ მიერ გამოცემულ კანონის დარღვევასო

ს. დემოკრ. უმრავლესობით გადის ს. დემ. რეზოლიუცია.

ჩერჩილის დეკლარაცია

(„Temps"-იდან)

თებერვლის შუა რიცხვებში ჩერჩილმა ლონდონში დიდი სიტყვა წარმოსთქვა. ესევე სიტყვა შემდეგ მან პარლამენტს წარუდგინა.

სიტყვის მთავარი ნაწილი რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

„მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ მოკავშირენი შუამავლობას არ უნდა ეწეოდნენ რუსეთში. ერთი წლის წინ ვსთქვი და ვიმეორებ, რომ რუსეთმა თვით უნდა იხსნას თავისი თავი მე წინააღმდეგი ვიყავი რუსეთში ინგლისურ ჯარების გაგზავნისა და ჩემის წყალობით იყო, რომ იქ მყოფი ჯარი დაბრუნდა.

დიდი ბრიტანეთი იძულებული იყო მიშველებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ელემენტებს რომ გაენთავისუფლებინა მათი ქვეყანა ბოლშევიკურ ტირანიისაგან. მათ გვთხოვეს მივშველებოდით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩვენ დავეთანხმეთ.

განა ჩვენ გამარჯვების შემდეგ შეგვეძლო მათი დატოვება. ეს უსამართლობა იქნებოდა. ჩვენ ვუთქვით მათ საომარი მასალა და ჩვენ უნდა მიგვეწოდებინა იგი. ერთადერთი, რაც მე სინანულად გვეხება, ის გახლავთ, რომ მათთვის ჩვენ მეტის გაკეთება ვერ შევძელით. მე მეშინიან, რომ მოკავშირეთ მომავალში ძვირად არ დაუჯდეთ ბოლშევიკების გამარჯვება. და მე ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკავშირეებს უფრო ენერგიული ზომები უნდა მიეღოთ, რომ ჩაეკლათ ბოლშევიზმი, ვიდრე იგი გაძლიერდებოდა. ის აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა უფრო მეტად გართულებულია. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ბოლშევიკური რუსეთი გერმანელებს არ ჩაუვარდეთ ხელში. დროებით ზავის შემდეგ ინგლისი ზავის პოლიტიკას დაადგა. მას სურს, რომ უპირველეს ყოვლისა ზავი ჩამოვარდეს მისსა და ოსმალეთს შორის.

რუსეთში კი არ არის ისეთი მთავრობა რომელთანაც შეიძლება ზავის შეკვრა.

დასასრულ ჩერჩილი ასე ახასიათებს ბოლშევიზმს.

„ეს არის მკაცრი და სისხლის მოყვარული დესპოტიზმი. ვფიქრობ ეხლანდელი ცდა რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის შესახებ ამ დესპოტიზმს არას უშველის.

რომ ბოლშევიზმი ემუქრის თვით ინგლისს, შეერთებულ შტატებს და საფრანგეთს.

მისი აზრით საფრთხის თავიდან ასაცდენად ეს სამი სახელმწიფო უნდა შეერთდეს და მათი თავდაცვის უზრუნველმყოფელი ძალები უნდა დარაზმონ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

ევგენი გეგეჭკორის დეპეშა აზერბაიჯანის საგ. საქ. მინისტრ ხან ხოილს და სომხეთის საგ. მინისტრ ხატისოვს.

1 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ხან-ხოილს და სომხეთის მინისტრს ხატისოვს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა; აზერბაიჯანის სომხეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთა თათბირზე 19 იანვარს სასურველად იქნა ცნობილი ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის შესაძლებელ უთანხმოებათა მოსასპობად და საერთო ზომათა მოსანახავად მოეწყონ რეგულიარული სესიები სამივე მთავრობის დელეგაციისა რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში რიგ-რიგად. საქართველოს მთავრობამ მოიწონა ამ თათბირზე გამომუშავებული დებულებანი და ეხლანდელ დროს შესაფერისად სთვლის სამივე მთავრობის შეხვედრას იმ იმედით, რომ თქვენი მთავრობა იზიარებს ჩვენს აზრს. გთხოვთ მაუწყოთ სად და როდისთვის სთვლით თქვენ შესაძლებლად მოეწყოთ შეხვედრა აზერბაიჯანის სომხეთისა და საქართველოს წარმომ. მარტს 1920 წ. ამის საპასუხოთ სომხეთის საგ. საქ. მინისტრმა ხატისოვმა გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. სომხეთის მთავრობას არა ერთხელ გამოუთქვამს აზრი ამიერ-კავკასიის 3 რესპუბლიკის მჭიდრო შეკავშირების შესახებ, იმ შეგნებით, რომ სამი მეზობლის მჭიდრო კავშირი წარმოადგენს მათი პოლიტიკური და ეკონომიური პროგრესის საფუძველს. არაფერი არარის საწინააღმდეგო 3 მთავრობის დელეგაციის შეხვედრისა.

გთხოვთ მაუწყოთ საკითხები, რომლებიც გარჩეული იქნება ამ დელეგაციების მიერ, რათა მათ თავისი მთავრობის პასუხით აღჭურვილ იქნენ დასახელებულ საკითხების შესახებ.

სომხეთის საგარეო მინისტრი ხატისოვი. 3 მარტი 1920 წ.

ხან ხოილის დეპეშა

4 მარტს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხან-ხოილისაგან შემდეგი დეპეშა იქნა მიღებული: ამა წლის იანვარში სომხეთ-აზერბაიჯანის დადგენილების თანახმად აზერბაიჯანის მთავრობამ აღძრა საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ დაახლოვების სასურველობასა და მიზანშეწონილების შესახებ. ეს წინადადება, როგორც ჩანს თქვენი დეპეშიდან, რომელიც მე ამავე იანვარში მივიღე თქვენი მთავრობის მიერ სრულის თანაგრძნობით ყოფილა მიღებული. ამასთანავე გადაუწყვეტელი დარჩა ადგილი და დრო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციისა მოსალოდნელ კონფერენციის კონკრეტულ ფორმათა გამოსამუშავებლად მიგვაჩნია რა ზემო-აღძრული კითხვა მეტად მნიშვნელოვანად და სასწრაფოდ აზერბაიჯანის მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ (აღნიშნული კონფერენცია) შეიკრიბოს ბაქოში 15 მარტს. საკითხი სამივე მთავრობის დელეგაციის რეგულიარული სესიების შესახებ, რათა მოსპობილ იქნეს ყოველგვარი უთანხმოება და გამონახული იქნეს საერთო ზომები, რომელნიც კონფედერაციის საერთო საკითხის ნაწილს წარმოადგენს. აზერბაიჯანის მთავრობა ფიქრობს, რომ დასვას განსახილველად ამ კონფერენციაზე კონფერენციის საერთო საკითხებთან ერთად. გთხოვთ კეთილ ინებოთ და საჩქაროთ გვაცნობოთ თქვენი მთავრობის გადაწყვეტილება კონფერენციის დროისა და ადგილის შესახებ. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოილი

4 მარტს 1920 წ. ამ ჟამად დელეგაციათა შეხვედრის დროისა და ადგილის საკითხი განხილვის პროცესში იმყოფება.

აზერბაიჯანი და საბჭოთა რუსეთი

ფ. ხ.—ხოილის ნოტა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს

სოვნარკომის მიერ აზერბაიჯანისადმი წარმოგზავნილ მეორე ნოტის საპასუხოდ, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფათალი ხან ხოილმა შემდეგი ნოტით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს.

„თებერვლის 21-ს რადიოტელეგრამაში საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი აღნიშნავს, თითქოს იანვრის 14 და თებერვლის 1 ს ორ თავის რადიო-ტელეგრამაში საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან-ხოილმა გადაუხვია საბჭოთა რუსეთის კონკრეტულ წინადადებას გენერალ დენიკინის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ. მაშინ როდესაც ორივე ჩვენს რადიოტელეგრამაში, მე სრულებით ნათლად ვამბობდი, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა როგორც ნეიტრალური დაუშვებლად სთვლის, რათა იგი რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს. ამასთანავე მე დაუმატე, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ერთსულოვნად თვლის იარაღს მხოლოდ მაშინ, როცა ვინმე ხელს აიღებს მისი დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობის წინააღმდეგ. ქვემოთ სახალხო კომისარი ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ თითქოს მეორე თავის რადიო-ტელეგრამაში, ხან-ხოილი იჭერს მეორე პოზიციას, აყენებს რა მოთხოვნილებას საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარების შესახებ. მაშინ, როდესაც ორივე ჩემს რადიო-ტელეგრამების საბოლოო ფრაზებში გამოთქმულია ერთი და იგივე აზრი, სახელდობრ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა, სთვლის რა საჭიროდ კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყაროს რუსეთსა და აზერბაიჯანს ერთა შორის, მზად არის მოლაპარაკება გამართოს ამ საგანზე, მაგრამ ისეთ საფუძველზე, რომლითაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენობა იქნება აღიარებული მასთან მოლაპარაკეის გამმართველ მხარისაგან.

ჰქონდა რა მხედველობაში, საბჭოთა რუსეთის მრავალ გზით საჯარო განცხადებანი, ერთა თვითგამორკვევისა და ერთა უფლების აღიარების პრინციპის შესახებ, აზერბაიჯანის მთავრობას ერთი წუთითაც არ შეეძლო ეფიქრა, რომ მისი პოზიცია, დამყარებული იმავე პრინციპზე, იქნება მიზეზად რაიმე გაუგებრობისა საბჭოთა მთავრობის მხრივ.

მაშინ, როდესაც სახალხო კომისრის ჩიჩერინის თებერვლის 21-ის რადიო-ტელეგრამიდან აზერბაიჯანის მთავრობამ დიდი განცვიფრებით გაიგო, რომ ერთა უფლების აღიარება ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპზე რუსეთისათვის არის არა უეჭველი პრინციპი ამა თუ იმ პირობათა თუ სარგებლიანობისაგან დამოუკიდებლად, არამედ მრავალ საკითხებში გამართულ რთულსა და ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგების შესაძლებელ აქტად. სახალხო კომისარი ჩიჩერინი, ეხება რა საბჭოთა მთავრობის მიერ ესტონიის აღიარებას, აცხადებს, რომ ეს აღიარება არის განუყოფელი შემადგენლობითი ნაწილი, ვრცელ ხელშეკრულობისა, რომელიც იყო შედეგი ხანგრძლივისა და რთულ მოლაპარაკებისა ნახევარ წლის განმავლობაში და რომ ეს აღიარება ვერ გამოიწირება მრავალ კერძო საქმეებისათვის აღძრულ რთულსა და საგანგებო მოლაპარაკებას.

თუ ერთა თვითგამორკვევის აღიარება არის საბჭოთა მთავრობისთვის უსაცილო პრინციპი, მაშინ აშკარაა რომ მისი დაყენება არ შეიძლებოდა ყოველნაირ საკითხებში რთულსა და ხანგრძლივ მოლაპარაკებასთან შეკავშირებით, შედეგებიც შეიძლება იყოს მრავალნაირი, რადგან პრინციპი თავის არსებობისათვის არ უნდა იყოს ფაქტორი ამა თუ იმ ეკვივალენტის მისაღებად: წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჰკარგავს პრინციპის ხასიათს და ხდება მოლაპარაკე მხარეზე ზეგავლენის იარაღად, ე. ი. იმ იარაღად, რომლითაც ხშირად სარგებლობდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. არ შეიძლება არ იყოს ნაჩვენები, რომ სახალხო კომისარი ჩიჩერინი სრულიად სდუმს საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისა და ფინლანდიის აღიარებაზე, რომელთა აღიარებაც მოხდა დამოუკიდებლივ ამა თუ იმ მოლაპარაკებათა.

აზერბაიჯანის მთავრობამ ორჯელ გამოსთქვა და ახლაც გამოსთქვამს სურვილს მოლაპარაკება გამართოს საბჭოთა მთავრობასთან აზერბაიჯანისა და რუსის ერებს შორის კეთილმეზობლურ განწყობილებათა დასამყარებლად ორივე მხარეთა სუვერენობის საფუძველზე, მაგრამ არავითარი გამოხმაურება ამგვარ სურვილზე საბჭოთა რუსეთის მხრივ არა ყოფილა.

ამისთვის აზერბაიჯანის მთავრობა სთხოვს გადაჭრილ პასუხს, სურს თუ არა საბჭოთა მთავრობას ზემოხსენებულ საფუძვლებზე მოლაპარაკება გამართოს აზერბაიჯანის მთავრობასთან 6. მარტის 7. № 6531.

საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოილი.

იტალიის სამეფო პოლიტიკური სააგენტო

იტალიის სამხედრო მისია ამიერ-კავკასიაში მარტის 10-დან სწყვეტს თავის არსებობას. ვინაიდან იტალიის მთავრობისა და ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის უკვე დამყარდა კეთილ-მეზობლური ურთიერთობა, სამხედრო მისია პოლიტიკურ აგენტებით შეიცვლება. საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთში დაინიშნება თითო-თითო პოლიტიკური აგენტი. პოლ. გაბბა ამ სააგენტოების მეთაურად არის დანიშნული. თვით გაბბა თბილისში დაბინავდება.

იტალიის მთავრობის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტა, რასაკვირველია, დროებითია. მაშინ კი, როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები იქნებიან „დე იურე" ცნობილი, იტალიის წარმომადგენლობის ორგანიზაციაც შეიცვლება.

გუშინ, 10 მარტს, საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს წარუდგა იტალიის მისიის ყოფილი უფროსი პოლკ. გაბბა, რომელიც დაინიშნა სამეფო პოლიტიკურ აგენტად სამთავე რესპუბლიკაში. პოლკ. გაბბამ მოახსენა ბ-ნ გეგეჭკორს, რომ შემდეგშიაც მათ შორის დამოკიდებულება ისეთივე შეხმატკბილებული იქნება როგორც წარსულში. მინისტრმა ამაზე უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობა და ერი გულითად სიხარულს გამოსთქვამენ თქვენი ახალი დანიშვნის გამო,

უცხოეთი

რუსეთი

როსტოვის მდგომარეობა.

ეკატერინოდარში მიღებულ როსტოველ გაზეთების ცნობით როსტოვი ძლიერ დაზიანდა ცეცხლისაგან, რომელმაც მასიური ხასიათი მიიღო. სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი ლტოლვილ კონტრრევოლუციონერების და დამალულ ბურჟუაზიის ქონებისა და ბინების აღწერის შესახებ. სასურსათო საკითხი მეტად მწვავედ სდგას, ხალხი შიმშილს განიცდის, ბარათების სისტემა შემოიღეს. სასურსათო ორგანიზაციის სათავეში სდგას ცნობილი როსტოველი მენშევიკი ზავარზინი.

სამხრეთ რუსეთის დიპლომატიური მისია.

კავკაზში სამხრეთ-რუსეთის მთავარ სარდლობისაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს: ბაქოში ბელიაევის მეთაურობით აემგზავრა დიპლომატიური მისია კეთილ მეზობლური ურთიერთობისა და ზოგიერთ მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად.

(საქ. დეპ. სააგ.)

ც.-კ.-ის თეზისები. რ. კ. პ. პარტიულ ყრილობაზე. შრომის ნაყოფიერების აწევაში უცქერის რა უმთავრეს ნიშანს მშრომელთა მოწინავე წრეებში შრომისადმი ლტოლვილის გაძლიერებისას, ყრილობა თავის ვალდებულებათ სთვლის გააფრთხილოს საბჭოთა რესპუბლიკის როგორც ადგილობრივი აგრეთვე ცენტრალური დაწესებულებანი, რომ მეტის მეტად არ გადიდონ მიღწეული შედეგების მნიშვნელობა.

მოსკოვი (გაგრძელება). შრომის აწევის სერიოზულ შედეგებს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ. თუ ჩვენი პარტიისა და პროფესიონალურ კავშირების სააგიტაციო ორგანიზაციულ ძალღონე მოწინავე, წრეებიდან გადავიტანეთ მთელ სოფლისა და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა ყოველმხრივ გამოიანგარიშონ შრომის აწევა თავის და სისწორით ისარგებლონ მშრომელთა ძალით. თავის დროზედვე მოსპონ ძალთა გათიშვა და შრომის პარტიზანობა ისე, რომ უეცრად არ მოსპონ არამედ ნელ-ნელა შეიყვანონ იგი საერთო სახელმწიფოებრივ სამეურნეო გეგმაში. 2) იწონებს რა ც. კ. რ. კ. პ. თეზისებს ინდუსტრიალურ პროლეტარიატის მობილიზაციის შესახებ შრომის ბეგრისათვის მეურნეობის მილიტარიზაციის, და სამხედრო ნაწილების სამეურნეო საჭიროების გამოსაყენებლად, ყრილობა ადგენს. რ. კ. პარტიის ორგანიზაციებს ყოველის ღონით უნდა დაეხმარონ პროფ. კავშირის და შრომის განყოფილებას გამოიანგარიშონ ყველა კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა, რათა ისინი სამუშაოთ გაიწვიონ იმავე სიმკაცრითა და თანდათანობით როგორც ეს ხდება ჯარის საკომანდო შემადგენლობით გაწვევის კვალიფიკაციური მუშა უნდა დაუბრუნდეს თავის სპეციალურ საქმეს. კვალიფიციურ მუშების დატოვება საბჭოთა სხვა თანამდებობაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ადგილობრივ ან ცენტრალური ორგანოების ნებართვით 3. აუცილებელია თავიდანვე კარგად მოეწყოს მასათა მობილიზაცია ე. ი. გაწვეულთა რიცხვი უნდა შეეფერებოდეს ადგილების შრომის მიზანს და აუცილებელი იარაღის რაოდენობას. აგრეთვე საჭიროა გაწვეულ შრომელთა ნაწილების ტექნიკურად კომპეტენტურ და პოლიტიკურად მტკიცე ინსტრუქტორთა შედგენა რომელნიც არჩეულნი იქნებიან წინასწარ კომუნისტური იაჩეიკებისაგან ე. იგი უნდა დავადგეთ იმავე გზას. როგორც წითელი არმიის შედგენის დროს ვადექით. 4. თითეულ სოციალურ წესწყობილებას მონურს, ბატონყმურს და კაპიტალისტურს ჰქონდა შრომის ექსპლოატაციის თავისი მეთოდები და გზა ის საბჭოთა წესწყობილების წინაშე სდგას მიზანი თავის საკუთარი მეთოდების განვითარებისა უსაქმურთა პარაზიტთა და დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ რეპრესსების მიღების გარდა წარმოების აწევის უძლიერეს ძალას წარმოადგენს შეჯიბრება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეჯიბრებას კონკურენციის ხასიათი ჰქონდა, რასაც ადამიანი ადამიანს ექსპლოატაციამდე მიყავდა. საზოგადოებაში, სადაც წარმოების საშუალება გაეროვნებულია შრომაში შეჯიბრება არ დაარღვევს სოლიდარობას, არამედ მან უნდა აწიოს შრომის ნაყოფიერების რაოდენობა. შეჯიბრება ქარხნებისა, რაიონებისა, ცეხებისა, სახელოსნოებისა და ცალ ცალკე მუშათა შორის ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი პროფეს. კავშირებისა და სამეურნეო ორგანოების მიერ. პრემიალური სისტემა უნდა წარმოადგენდეს ძლიერ საშუალებას შეჯიბრების განსავითარებლად. მას უნდა შეუთანხმდეს სასურსათო სისტემა იმ დრომდე, სანამ საბჭოთა რუსეთში საკმარისი არ იქნება სურსათი. მხნე და კეთილ სინდისიერი მუშა უნდა იქნეს უკეთ უზრუნველყოფილი. ვიდრე გულგრილი და ზარმაცი.

ინგლისი

ლონდონის კონფერენციაზე.

კონფერენციამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ დარდანელი ინტერნაციონალურ კონტროლის ქვეშ დარჩება. დაინიშნა სამი კომისია: ერთი სომხეთის საზღვრების გასარკვევად, მეორე იმუშავებს ოსმალეთის საქმეებს **და ოსმალეთის ფინანსების გარკვევაზე. ევროპის ინტერესებთან დაკავშირებით,**

შესამე შეუდგება საბერძნეთისადმი სმირნის დაბრუნების საკითხის განხილვას.

ლონდონის კონფერენცია.

კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ბოსფორი ისეთსავე მდგომარეობაში დასტოვოს. როგორშიც დარდანელი. ე. ი. ინტერნაციონალურ კონტროლის ქვეშ. დადგენილების სისრულეში მოსაყვანად კონფერენციამ ზომები უკვე მიიღო.

გერმანია

სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან.

გერმანეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას მხედველობაში აქვს რუსეთთან ვაჭრობა მხოლოდ საქონლის გაცვლა გამოცვლით აწარმოვოს.

მოსკოვის მთავრობას განუცხადებია, რომ იგი დაკმაყოფილდება რაციონალ გაცვლით და მოგებას არ გამოუდგება. გერმანეთის მთავრობამ დაავალა ექსპერტებს და სავაჭრო პალატას სათანადო კონტრაქტების შემუშავება, რომ ვაჭრობის დაწყებისას მზად იყვნენ.

საბერძნეთი

ადრიატიკის საკითხი.

რომის გაზეთები აღნიშნავენ შესაძლებელ კომპრომისის ადრიატიკის საკითხში. მათის აზრით ადრიატიკის სრული ნეიტრალიზაცია მისაღები იქნება ადრიატიკის ყველა მცხოვრებთათვის და ლონდონის ხელშეკრულების გამოყენებაც საჭირო აღარ იქნება.

ოსმალეთი

ქურთისტანის განცხადება.

ქურთიულ ტომთა მეთაურებმა ჰასან კალემ და ვანამ ტელეგრამებით აუწყეს ოსმალეთის პრესას, რომ შეუძლებელია მათი ოსმალებისგან ჩამოშორებაზე ლაპარაკიც კი რომ მათ სურთ ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ ყოფნა. დასასრულ ხსენებული პირნი დეპეშითვე აცხადებენ, რომ ქურთების და ქურთისტანს არავისთვის დაუვალებია მათი სახელით ლაპარაკი.

მოკავშირეთა მუშები ბოსფორში.

ლონდონიდან ტელეგრაფით იუწყებიან: პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთმა და იტალიამ ბოსფორში სამხედრო გემები გაგზავნა.

ავსტრია

მოკავშირეთა კომისია ვენაში.

ავსტრიის მთავრობამ აუწყა საზავო კონფერენციას, რომ მოკავშირეთა საკონტროლო კომისია რომელიც შესდგება 200 ოფიცრისა და 1000 კაცისაგან, ვენას შემოვიდა. კომისიის რეზიდენციისათვის რეკვიზიციით გაანთავისუფლეს ვენის უდიდესი სასტუმრონი. კომისია კონტროლს გაუწევს ავიაციას. მოკავშირეთა 5 ამირბარი თვალყურს ადევნებს იმ საზავო პირობათა შესრულებას, რომელთაც გულისხმობს ჟერმენის ტრაქტატი.

ამერიკა

რუსების მოწოდება.

ბრიტანეთის სამხედრო მინისტრი იუწყება იმ რეზოლიუციის ტექსტს, რომელიც მიიღო ამერიკაში მცხოვრებ რუსთა კონგრესმა. რეზოლიუციიდან ჩანს რომ მუშათა და გლეხთა ფართე წრეები სწყევლიან საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის მმართველები კაცისმკვლელთა ბანდებიდან არიან გამოსულნი და რომელთაც ძალა უფლება ხელთ იგდეს მოტყუებით სიმკაცრით და ღალატით. გლეხები და მუშები დღე და ღამ განთავისუფლებისათვის ლოცულობენ. რეზოლიუცია გაეგზავნა მოკავშირეთა მთავრობებს შემდეგის თხოვნით: „შესწყვიტეთ ყოველივე კავშირი საბჭოთა მთავრობასთან“.

მოკავშირენი, დენიკინი და ბოლშევიკები

გაზ. „ვოზროჟდენიე“ № 56) შემდეგს გვაცნობებს:

„პარიზიდან ახლახანს ჩამოსული სანდო პირი გვატყობინებს ჩვენ, რომ პარიზიდან გენ. დენიკინის შტაბში საგანგებოდ წარგზავნილია ცნობ. პოლიტიკური მოღვაწე ჩაიკოვსკი, ანტანტის მიერ მინდობილობით რათა გადახაროს გენ. დენიკინი ბოლშევიკებთან ზავის ჩამოგდებისაკენ.

როგორც პარიზსა და კონსტანტინეპოლში ლაპარაკობენ, ამ მინდობილობის ის აზრი აქვს, რომ მოკავშირეთა ინტერესები რუსეთში რომელთაც უკარნახეს ბლოკადის მოხსნა დაჟინებით მოითხოვენ სამოქალაქო ომის შეწყვეტას ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე. ამ სამოქალაქო ომს გაჭიანურება ბლოკადის მოხსნის შედეგებს ნულამდე მიიყვანდა რადგან ასეთ პირობებში, რუსეთის უდიდესი მოსახლეობა ომში ჩაბმული ველარ ეძლევა თავისუფლად სასურსათო შრომასა და მუშაობას, რაც თავის მხრივ დამღუპველ გავლენას ახდენს ნედლ მასალის შოვნაზე, რაცა ასე საჭიროა დღეს ევროპისათვის.

ჩაიკოვსკის მოლაპარაკების და გენ. დენიკინისთვის სამხედრო ტეხნიკურის და ფინანსიურ დახმარების მოხსობას აქვს სწორედ მიზნად სამხრეთ რუსეთში ომის გაგრძელების შეუძლებლობა».

სამხრეთ-რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში

სამხრეთ-რუსეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეგრაფო ცნობით, სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალების წარმომადგენლის, ყოფილი მოადგილე პ. ე. დენი დანიშნულია სამხრეთ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან. ახალ წარმომადგენელს მინდობილი აქვს საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოება როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის და სავაჭრო გაცვლა გამოცვლის საკითხების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ქ. ზესტაფონში გარდაიცვალა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრი ვლადიმერ გ ჩიჩილაძე.

ახალი ამბები

სამინისტროში

გენ. ოდიშელიძე

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ინახულა გენ. ოდიშელიძემ.

ვ ჯუღელი

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ინახულეს სახალხო გვარდიის უფროსმა ვ. ჯუღელმა შტაბის წევრებით.

მოხალისეთა წარმომადგენელნი

გუშინ საგარეო მინისტრს ე. გეგეჭკორს წარუდგნენ მოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენელნი გენ. დენი, აბაციევი და პოტულოვი.

არქ. ნიკოლოზი.

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი გეგეჭკორი ინახულა მოწამეთის მონასტრის წინამძღოლმა არქ. ნიკოლოზმა და მონასტრისთვის ჩამორთმეულ მიწის დაბრუნება სთხოვა.

ქუთაისის სადგურის გაფართოებისთვის

გზათა კომისიამ მოიწონა გზათა მინისტრის პროექტი ქუთაისის რკინის გზის სადგურის გასაფართოებლად მიწის შეძენისათვის 1.570.000 მანეთის გადადების შესახებ.

დამფუძნებელ კრებაში

დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

დამფუძ. კრების განათლების კომისიამ განიხილა და მიიღო განათლების მინისტრის პროექტი სახელმწიფო უნივერსიტეტის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვისა, რომლის მიხედვითაც მთავრობამ უნდა გადადოს 14.324.415 მ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარჯების დასაფარავად.

პროფეს-ურ კავ-ში

კვირის მუშაობა

თბილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა ყველა კავშირებს, რომ კვირას 14-ს მარტს ყველა დაწესებულებებში იქნეს მუშაობა და აგრეთვე სურვილი გამოსთქვა, რომ ამ დღეს შრომის ქირა იყოს ორმაგი.

სხვა და სხვა ამბები

„ჯეჯილი“

რედაქციამ მიიღო: საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“-ს იანვრის № ჟურნალში მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები: გ ქუჩიშვილისა, შიო მღვიმელისა, ეკ. გაბაშვილისა, ილია ალხაზიშვილისა და სხ.

„ფიზიკურ მათემატიკური განვითარება“.

იბეჭდება და მალე გამოვა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ფიზიკო-მატემატიკურ მოწაფეთა წრის ჟურნალი „ფიზიკო—მატემატიკური განვითარება“.

გაზ. „სლოვოს“ რედაქციაში

„კავკასიაში ბეჭდითი სიტყვის სააქციონერო საზოგადოების“ აქციების სომხურ სახალხო პარტიების ხელში მიმავლის გამო გაზეთ „სლოვოს“ სარედაქციო კოლეგიიდან გადიან მთავარი ხელმძღვანელები—მ გევორქოვი, ვ. ანანოვი, კ. ალიხანოვი, და ი. დოლუხანოვი. ახალ სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ს. ვერმიშევი, ზ. არუთუნიანი და ტ. მელიქ. კარაკოზოვი. („აშხატ.“)

მე-2-ე ქართულმა კლუბმა თავის დარბაზში წარმოდგენის გასამართავად დაუთმო ახალი დრამატიულ დასს „არმაზას“ დღეს, საღამოს 8 საათზე დასი წარმოადგენს „სიზმარი კოშკში“, და „ოინბაზი“.

12 მარტი. 12 მარტი, როგორც რუსეთის რევოლუციის გამოცხადების დღე, უქმედ ითვლება. ამ დღეს არც ერთ დაწესებულებაში არ იქნება მუშაობა.

ახალი ჟურნალი. ამ მოკლე ხანში გამოვა პოპულიარული ჟურ. „ერობა“.

მექანიკის და ტეხნიკოსების საჭიროება.

სენაკის სამაზრო ერობის ტეხნიკურ განყოფილება იწვევს ტეხნიკოსს და მექანიკს. პირობების გამოსარკვევად პირადი მოლაპარაკება საჭირო ერობის რწმუნებულთან (ქ. თბილისი ჩრდილოეთის ნომრები 53) თხოვნები უნდა გამოიგზავნოს სენაკის სამაზრო ერობის სახელზე.

ქართულ სატეხნიკო საზ-ში.

დღეს 11 მარტს ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქთა კავშირის და საზოგადოებისა. კრებაზე მოსმენილ იქნება მოხსენება შესახებ გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ადგილებში სახლკარის ტიპის აგებისა.

სახელმ. უნივერ. არჩევნების შედეგი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის არჩევნები დასრულდა, არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდნენ. ს. დ. № 1. ეროვნ.-დემოკრატები № 2. ერ. პარ. № 3. მაშვრალები № 4. და ს. ფედ. № 5 არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 900-დე კაცმა. ს. ფედ. გაიყვანეს 13 კაცი. ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 211 ხმა და გაიყვანეს 6 კაცი; ს. დემოკრ. გაიყვანეს 6 კაცი მაშვრალებმა მიიღეს 16 ხმა, ვერც ერთი ვერ გაიყვანეს. ეროვნულმა პარტიამ მიიღო 6 ხმა. (6 კანდიდატები იყვნენ).

კრებები

საარქეოლოგიო საზოგადოებაში.

დღეს საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10) მოხდება საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საჯარო კრება; მოხსენებები: 1) ლეონ მელიქსეთ-ბეგისა „კარსანი ისტორია-ლეგენდებში“ და 2) გეორგ ლემლეინისა „კარსანის არქეოლოგიის გარშემო“.

სამხატვრო ქრონიკა

ქართულ სამუსიკო საზოგად.

ხვალ, 12 მარტს პარასკევს საღამოს 7 საათზე. დანიშნულია საგანგებო სხდომა. ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობისა შეერთებული საქართველოს რესპუბლიკის კოოპერატივთა კავშირის გამგეობასთან ერთად, რომელზედაც განხილული იქნება ნახევარი წლის „კაპელას“ და საოპერო სტუდიის მოღვაწეობა.

ქართულ დასის გამგზავრება ბათომში.

ქ. ბათომში მიემგზავრება თბილისის ქართული დრამატიული დასი ელ. ჩერქეზიშვილის, ქნ ტასო აბაშიძის. შალვა დადიანის და სხ. მონაწილეობით სამი წარმოდგენის დადგმის განზრახვით პირველად წარმოდგენილ იქნება პარასკევს, 12 მარტს რამიშვილის ახალი პიესა „სტუმარ-მასპინძლობა“ კომ. 3 მოქმ და „გულმა იგრძნო“ ვოდ. 1 მოქმ.

„ცისარტყელა“

გამოვიდა ყოველ-თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ცისარტყელა“ ს მორიგი № 3. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები ხ. აბაშელისა, ბაილინასი, კ. გამსახურდიასი. იასამანის, ობოლი მეუხის, ვარ. რუხაძის, და ქნარის მოთხრობები: ვ. მაღაქიაშვილისა, ს. ხართენშვილისა, ტრ. რამიშვილის დრამა „სტუმარ-მასპინძლობა“ და აკაკი პაპავას „ფიქრები თეატრის კრიზისზე“.

გემის „ვოზროჟდენიე“-ს აფეთქება

ის პირი, რომელიც გემ. „ვოზროჟდენიეთი“ უნდა გამგზავრებულიყო ბათომიდან და, რომლის ახლო ნათესავი გემზე აფეთქების დროს დაიღუპა, შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იძლევა გემზე მომხდარ აფეთქების შესახებ.

გემზე დინამიტი ფარულად იტვირთებოდა, მაგრამ ამის შესახებ ქალაქში ხმები დაბეჯითებით დადიოდა. დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები არ დაუშვებენ დინამიტის ნოვოროსისკში გაზიდვას და გემს ააფეთქებენ. როცა გემის მგზავრებს ბათომშივე დაურიგეს გადასარჩენი სამკერდულები, მგზავრები შიშმა მოიცვა და ბევრმა უკანვე დააბრუნა აღებული ბილეთები:

ამბობდნენ, რომ 11 ათასი ფუთი დინამიტით უნდოდათ გემის დატვირთვა, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ 3500 ფუთი დინამიტით დატვირთეს. უეჭველია, რომ ამფეთქებლებს ბოროტი ზრახვა გზაზე უნდოდათ. ეს ასეც მოხდებოდა, რომ გემს რაიმე მიზეზების გამო გასვლა არ დაგვიანებოდა.

ტვირთი გემზე ასე იყო განაწილებული. ძირს წყალი, შემდეგ დინამიტის ფენა, დინამიტზე თხილის ფენა. ამას ზევით იყო მოთავსებული 2 კლასის კაიუტები, კიდევ ზევით 1 კლასის და ბოლოს გემის ბაქანზე 3 კლასის ოთახები.

ჯოჯოხეთის მანქანა ქალების საპირფარეშოში იყო მოთავსებული. საბედნიეროდ, ის ისე იყო დადგმული რომ აფეთქების მიმართ. იყო არა ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტალური. ამიტომ მე 2 კლასის ოთახები ერთბაშად დაიმსხვრა და უშუალო აფეთქებამ დინამიტამდი ვერ მიაღწია. დინამიტი კი ისეთ თვისებისა იყო, რომ ქვრა ვერ ააფეთქებდა. აფეთქებისთვის მას უნდა მიეღო უშუალო შემოკვრა.

როდესაც აფეთქება მოხდა, მგზავრებმა მხრჩოლავი გაზის სუნი იგრძნეს. ამ გაზის სუნი ახლაც ადის.

აფეთქების შემდეგ დაიწყო ცეცხლი, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა, სანამ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ის არ ჩააქრო. იმ წამშივე აღმოჩნდა 4 მოკლული, ერთი გულშემზარავად დამახინჯებული. სერიოზულად დაჭრილი 12-ზე მეტი იყო. აფეთქების ადგილის დაჩხრეკა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მეორე დღეს აღმოაჩინეს ორი მოგლეჯილი ხელი, შემდეგ ორი გვამი. მოკლულებში ორია ოფიცერი, ხოლო სხვები კი კომერსანტები უნდა იყვნენ. აფეთქების ადგილს შემდეგ მრავალ ფულს, ოქროსა და ქაღალდისას ნახულობდნენ. ჯიბგირები არ დაიბნენ და ხელი მიჰყვეს ხელობას. იტაცებდნენ არა მარტო დაბნეულ ნივთებს, არამედ დახოცილებსაც სძარცვავდნენ.

ერთი მოკლულის ჯიბიდან ამოიღეს 500,000 მან. მგზავრების თვალწინ ერთ მოკლულს ამოაცალეს ჯიბიდან ოქროები, რომელიც იქვე გაიყვეს.

გადმოგვცემენ, რომ ღამით გემთან მიუცურდა ნავი სამი მგზავრით, რომლებმაც გემს სამჯერ შემოუარეს. ფიქრობენ, რომ ესენი იყვნენ იმ ორგანიზაციის წევრები, რომლებმაც სცადა გემის აფეთქება.

ახლა გემი ზღვაში სდგას და მას თიურკოსები იცავენ.

გორში

რა ხდება დღეს გორში.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა გორიდან ჩამოსულ გორის ყოფილ მოურავს ზაქ. ქიტიაშვილს. რომელმაც გაუზიარა გორის დღევანდელი შთაბეჭდილებანი:

მიწის ძვრა გორში გრძელდება.

გორში მიწის ძვრა ისევ გრძელდება. რყევა და ძვრა ხშირად ძლიერია. მარტის 9-ს შუადღისას საგრძნობელი ძვრა მოხდა თუმცა არც ერთ ძვრას არავითარი ზიანი არ მოუტანია.

ქალაქის განახლება.

ქალაქის განმახლებელი მუშაობა კიდეც დაიწყო. ნანგრევებიდან ამოღებულია ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობილებანი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, მანქანები და სხვა.

შენდება და კეთდება; ხაზინა, ფოსტა ერობა უკვე ნორმალურად მუშაობს მის მიერ მოწყობილ ბარაკებში. ალაგ-ალაგ სახლებსაც აკეთებენ მხოლოდ ხე ტყე აკლდებათ. ქალაქის ნაწილებში მოეწყო რამდენიმე სადალაქო, კოოპერატივი დუქანი და რესტორანი.

ხალხი თხოულობს: ქალაქის გასაახლებლად მოგვცეს მთავრობამ გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხი, ან ასაგები მასალა მოგვცეს იოლიან ფასებში.

მოხდა შეერთებული კრება ქალაქის თვითმართველობისა, ტეხნიკურ კომისსიისა საზოგადო მოღვაწეთა კრება გაეცნო ინჟინრების მიერ წამოყენებულ ტიპებს სახლებისას,

ინჟინრების აზრით გორში უნდა აშენდეს ახალი ქალაქი როგორც არის იაპონიასა და ინგლისში. სახლები იქნება არა სეისმიური ტიპის, არამედ ხისა და ერთმანეთს ხეხილის ბაღით დაშორებულნი.

ქალაქის აღდგენის მუშაობაში არის პატარა უწესოებანიც. მაგ. მილიციის კომისარმა ბარაკის მოსაწყობად კარფანჯრები დანგრეულ სახლებიდან წაიღო და პატრონს გამოსარჩლებაზე ლანძღვითაც უპასუხეს.

ქალაქის ხმოსანთა საბჭომ დაადასტურა გორის აღმდგენი კომიტეტი, რომელიც გორის აღსადგენად დამოუკიდებლივ იმოქმედებს. ქალაქის თავის ბ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით კომიტეტში შედის რვა კაცი.

გორის სასწავლებლების ბედი

შესდგა მშობელთა წრის შეერთებული სხდომა რომელმაც მხედველობა იქონია გორის სასწავლებლების თბილისში გადატანის შესახებ. ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რადგან მცხოვრებლებზე ფსიქოლოგიურად ცუდად მოქმედობს.

სასწავლებლების თბილისში გადმოტანა და რადგან თბილისში გადასულ მოწაფეებს მშობლებიც თან მიყვებიან რის მიზეზითაც გორის დასახლება ბრკოლდება, ამიტომ ეთხოვოს განათლების მინისტრს სასწავლებლები დატოვებულ იქნას გორში და მოწაფეთათვის გადადებული თანხა მოხმარდეს დაზიანებულ და განადგურებულ სასწავლებლების აგებას და შეკეთებას.

სხდომაზე გადაწყდა იშუამდგომლონ მთავრობასთან, რათა გორში შეკრებილი 3 მილიონი სანიტარული გადასახადი გორის გიმნაზიების აღდგენას მოხმარდეს.

მარტის 9-ს მოქალაქეთა ყრილობამ ამოირჩია 3 კაცი ზ. ქიტიაშვილის თავმჯდომარეობით განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის გასაწევად.

სურსათის უწესოდ განაწილება.

არ შეიძლება მწუხარებით არ აღვნიშნო ერთი გარემოება რომელიც ასე სასტიკად აშფოთებს დღეს გორის ყველა დაზარალებულ მოქალაქეს.

ამ ჟამად დიდი არევ-დარევაა სურსათის დანაწილებაში. ჩვენ არ ვიცით რით ხელმძღვანელობენ, როცა სურსათსა და ფქვილს არ ურიგებენ ყოფილ ვაჭრებს და სახლის პატრონებს. თუ გაითვალისწინებთ, რომ ამ ჟამად გორში არც ერთი ფურნე არ არსებობს, ადვილი მისახვედრია თუ რა გაჭირვებას უნდა განიცდიდნენ ეს გამორჩენილი და განწირული მოქალაქენი.

ეს საკითხი განსახილველად შეტანილია გორის ქალაქის გამგეობაში.

საგანგებო მატარებლის საჭიროება.

მატარებლების მიმოსვლა გორსა და თბილისს შორის აუცილებელია მაგრამ საგანგებო მატარებელი სულ არ დადის, რაც აფერხებს ქალაქის განახლებისთვის საჭირო მუშაობას.

პირიქით რაც მატარებლები დადის გორისკენ, ტარიფი გაადიდესო. მე-III კლასის ბილეთი დღემდე ღირდა 27 მანეთი, ხოლო ამ ორ დღეში 65 მანეთი გახდა.

გორის მაზრის სოფლებში.

თუ რა ხდება ამ ჟამად გორის მაზრის დაზარალებულ სოფლებში, ამის შესახებ ხვალინდელ №-ში მოვათავსებთ წერილს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტისას, რომელიც ამ ორი დღის წინედ გორის მაზრის დაზარალებულ სოფლებში საგანგებოდ გაემგზავრა.

საქ. ტეხნ. საზოგადოებაში

მიწის ძვრის გარშემო

ტეხნიკურ საზოგადოების მიწისძვრის კომისიამ 6 და 7 მარტს დაათვალიერა დაზარალებული რაიონი და ადგილობრივ გაეცნო საქმის ვითარებას. კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება დაყრდნობილია შემდეგ მუხლებზე:

1. მიწის ძვრისაგან დაზარალებულ რაიონში მომუშავე ტეხნიკური ძალების უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია უსახლკაროდ დარჩენილ ხალხის ბინებში მოთავსებისაკენ. თუმცა ბარაკები მცხოვრებთათვის და საზოგადო დაწესებულებებისათვის აქა იქ გაშენებულია როგორც სოფლებში ისე ქალაქებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაკეთებულია მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რაც საჭიროა საერთოდ გაკეთდეს. რათა ეს საქმე რიგიანად და დაჩქარებით მოგვარდეს, საჭიროა დიდძალი ხე-ტყე და ლურსმანი; ამ ჟამად ორივე ამ მასალის დიდი ნაკლებობაა და ამას აუცილებლად მთავარი კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

2. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული იმ შენობების დანგრევას და მათი იმ ნაწილების ჩამოღებას, რომელნიც ადამიანთა სიცოცხლისათვის საშიშროებას წარმოადგენენ. ამ ჟამად მთავარი ქუჩები და უფრო სახიფათო შესახვევები ამ მხრივ თითქმის უზრუნველყოფილია; მალე შეუდგებიან იმ შენობების დანგრევას, რომელნიც უფრო ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ.

3. ყურადღება აქცევს [illegible] რეთვე ნანგრევებიდან ქონების ამოღებას; პირველ რიგში სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი მოთავსებულნი, შემდეგ—კერძო. უკვე ამოღებულია ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობილობანი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, მანქანები და სხვ.

4. მეორე და მესამე მუხლში აღნიშნულ საჭიროებათა მოსაგვარებლად ზარრადი თავგანწირვა და გმირობა საჭირო; იქაურ მომუშავეთა უფრადღებისათვის ეს თვისებებიც გამოჩინდა კიდევ. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა სწარმოებს საკმაოდ მძიმე პირობებში.

5. მიღებულია ყოველივე ზომები, რათა საჩქაროდ აამუშაონ ელექტრონის სადგური, წისქვილები, ქარხნები და სხვა მაშინებიანი და საჭირო დაწესებულებანი.

6. ამ ჟამად ქალაქში და სოფლებში ტეხნიკოსების მიერ იკრიბება ცნობები, თუ ვის ეკუთვნის სახლები, რამდენ სართულიანი შენობაა, რამდენი წყობა და სახურავი აქვთ, რამდენად დაზიანებული არიან, საგნები დანგრეულია თუ მთლიანად დაინგრა და სხვ.

7. ადგილობრივ მომუშავე ინჟინრები იკვლევენ მიწის ძვრის იერეთს კედლებში, თაღებში, კუთხებში და სახურავებზე; ადგილობრივ არკვევენ ამ საკითხს მასალის, შენობის მდგომარეობის, სართულების რიცხვის და სხვა თვალსაზრისით.

8. სპეციალური გეოლოგიური კომისია არკვევს მიწის ძვრის ხასიათს, შედეგებს და მომავალი პერსპექტივებს.

9. ადგილობრივ ქალაქის და ერობის თვითმმართველობას გადაეცემა [illegible] ტილი ამგვარი, დაქცეულ ადგილებისადდებული ნამდვილ მონაწილეობას მიწილება, რასაკვირველია, მთავრობის, საზოგადო დაწესებულებების და სხ. ამალისი მონაწილეობით და თანამშრომლობით.

10. საჭიროა შემუშავდეს მიწის ძვრისაგან მიდგარ შენობების ტიპი ადგილობრივ მესაფერისი ყოფა-ცხოვრების და მოთხოვნილების მიხედვით.

11. საჭიროა გადიდდეს საკითხი დანგრეულ ქალაქ-სოფლების გასაშენებლად ადგილის შესახებ.

12. საჭიროა კანონმდებლობით წესით შემუშავდეს დიქტატი ქალაქ-სოფლების სასურველად დაგეგმვის და შენობების მიდგომილ ტიპის მიხედვით აგების შესახებ.

მიწის ძვრის კომისია ტეხნიკურ საზოგადოების გამგეობისათან ერთად იწვევს სპეციალისტებს შენობის ტიპის სამუშავებლად. პირველი სხდომა მოიწვევა ხუთშაბათს, 11 მარტს.

სავაჭ.-სამრ. წ. პალატა

საბირჟო ბიულეტენი.

ქ. თბილისი, 9 მარტი 1920 წ.

კურსი

სტერლინგი:

ა) ბანკნოტი	950 მ.
ბ) ჩეკი	870 „
ფრანკი ფრანგული ქაღ.	25 „
ჩეკი	18 „
ლირა იტალიური ქაღ.	17,50 „
ჩეკი	16,50 „
ლირა ოსმალური:	
ა) ოქროს	1460 „
ბ) ქაღალდის	250 „
ჩეკი	241 „
მარკა გერმანული	5,4,50 „
მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა:	
ა) ასი მანეთიანი	240-250 „
ბ) ხუთასი მანეთიანი	1200-1300 „
ოქრო 10 მან.	1700 „
ფასიანი ქაღალდები:	
თბილ. სათავ.-მამულ. ბანკ.	
გირაო. ფურცლ.	100 „
ქუთაისისა	80 „
თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია	103 „
აქც. ვაჭ. ბანკისა	2200 „
აქც. მიწ. კავკ. ბანკისა	360 „
ვაჭართა ბანკ.	360 „
ქარ. საჭრ. საზ. აქც.	
რინდი	210 „

რედაქტორი „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ. მრ. კომიტეტი

იყიდება
მშვენიერი სარკული
შკაფი
ბარბოთის ქ. № 52, ბინა 2.
2945 1—1

ვეძებ
2—3 ოთახს
I, II, III ან IV უბანში
ფასს არ დავიშურებ
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 33 ვაჭრობა და მრეწველობა № 33
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

ეკონომიური წერილები

წერილი III.

ჩვენ უკვე გამოვსთქვით ძირითადი დებულება, რომ წინასწარ გათვალისწინებული გეგმა ეკონომიური პოლიტიკისა სახელმწიფო მეურნეობის სფეროში გამოიხატება ეკონომიურ და ფინანსიურ კანონმდებლობაში. თუ ეს კანონმდებლობა გონივრულათ არის შეთანხმებული დროსთან, ადგილთან და გარემოებასთან, მისი განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგებაში ეჭვს გარეშეა. მაგრამ რაიმე ეკონომიური და ფინანსიური გეგმის ცხოვრებაში გატარება არსებული ეკონომიური კანონმდებლობის მიხედვით მიგვაჩნია ყოვლად შეუძლებლად.

დღეს ჩვენში მოქმედ ეკონომიურ კანონმდებლობას აქვს ორი დიდი ნაკლი, რომელიც დაუყონებლივ უნდა მოისპოს. პირველი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ხსენებული კანონმდებლობა იმდენათ დაძველებულია, რომ სრულებით არ შეეგუება დღევანდელ დროს და ცხოვრებას, თუ მას შერჩა რაიმე მნიშვნელობა—იგი მომეტებულ შემთხვევაში უარყოფითია და ხელს უშლის ეროვნულ მეურნეობას და საწარმოო ძალთა განვითარებას. მეორე ნაკლი, რომელიც ლოღიკურათ გამომდინარეობს პირველიდან, მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედ ეკონომიურ და ფინანსიურ კანონმდებლობას არა აქვს გათვალისწინებული ბევრი მომენტები თანამედროვე სახელმწიფო მეურნეობისა, ამიტომ მასში ბევრი ცარიელი ადგილია.

მართალია ახალი ცხოვრების მიხედვით ხშირად იძულებული ვხდებით ნაწილობრივი ცვლილება და შესწორება შევიტანოთ არსებულ კანონმდებლობაში, მაგრამ აჩქარება კანონმდებლობის ახალი საკითხებისა სრულიად შეუწყნარებელია და მიზან-შეუწონელი: როდესაც კანონმდებლობაში შეგვაქვს ნაწილობრივი შესწორება და ცვლილება, ეუცილებლათ ბევრი საყურადღებო ადგილები შეუსწორებელი გვრჩება, რასაც კიდევ უარესი არევ-დარევა შეაქვს სხვა და სხვა დაწესებულებაში და რაც ხელს უშლის დადებითი ეკონომიურ საქმიანობას. ნაწილობრივი შესწორება ეკონომიური კანონმდებლობისა კიდევ იმიტომ არის შეუწყნარებელი, რომ მას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს; დღეს ერთი კანონმდებლობა, ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ასე ზერელეთ და შინაურულათ კეთდება ეს დიდი საქმე.

არსებული სხ. და სხ. წესდებანი სავაჭრო,სამრეწველო, კრედიტის, საბაჟო, საწყეო და სხვა, ბევრი ადგილები პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადების წესდებისა წარმოადგენს დღევანდელ დროისთვის და არსებული ეკონომიური პირობებისთვის და ურთიერთობისთვის ნამდვილ ანაქრონიზმს, ან სრულიად უვარგისს, ან პირდაპირ მავნებელს.

ეკონომიურ ცხოვრებაში რომ წესიერება დამყარდეს, ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიზან-შეწონილი და წინასწარ გათვალისწინებული ეკონომიური კანონმდებლობა, რომელიც შეეფერება დღევანდელ ცხოვრების პირობებს, რაც კეთილ-შობილ შრომას და ინიციატივას უადვილებს თავისუფალ მოღვაწეობას, რამდენათაც სახელმწიფო მეურნეობის კანონმდებლობა მიზან-შეწონილია, იმდენათ ერის შემოქმედი ძალა და შრომა უზრუნველყოფილია. ამიტომ სრული, ზედმიწევნითი და სისტემატიური გადასინჯვა მთელი არსებული ეკონომიური კანონმდებლობისა იქნება პირველი საშუალება ეკონომიური პროგრამის ცხოვრებაში გატარებისა. მაშასადამე, ეკონომიური გეგმის პირველი საფეხურია—ახალი ეკონომიური და ფინანსიური კანონმდებლობა. ეს რეფორმა პირველ რიგში უნდა იდგეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რეფორმებზედ ეკონომიურ კანონმდებლობაში, ჩვენ ვგულისხმობთ არა ფორმალური ხასიათის რეფორმებს, არამედ რეფორმებს არსებითად. ფინანსიურ კანონმდებლობაში, მაგალითად, აუცილებლად საჭიროა მუხლობრივი გადასინჯვა გადასახადთა მთელი სისტემისა.

ვფიქრობთ, ამ რეფორმას არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი, შინაური ხასიათი; ამ ფრიად მასშტაბიან საქმეს არ უნდა ვანდობდეთ შემთხვევით პირებს. ამისთვის საჭიროა მკვიდრი, მუდმივი ორგანიზაცია, რომლისათვის უნდა იქმნენ მოწვეულნი განსაკუთრებულნი პირნი თეორეტიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულნი და ამ საქმეში გაწვრთნილნი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი შესწორება, რომელიც ჩვენ შეგვაქვს კანონმდებლობაში და რომელსაც ჩვენ ვურიგდებით დღევანდელი პირობების მიხედვით, სრულიად უნდა მოისპოს მომავალში.

ამასთან უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ყოველი ეკონომიური და ფინანსიური რეფორმა მოიტანს შესაფერ ნაყოფს იმდენათ, რამდენათაც იგი გათვალისწინებულია და შემუშავებულია იმ მთავარი კითხვების მიხედვით და სრული შეგნებით, რომელნიც წამოაყენა დღევანდელმა ცხოვრებამ სახელმწიფო მეურნეობის სფეროში, და აგრეთვე რამდენათაც რეფორმა შეთანხმებულია ეკონომიურ და ფინანსიურ მეცნიერებასთან.

ფინანსიური და ეკონომიურ კანონმდებლობის ახალი შენობის აგებისათვის საჭიროა ღრმა და ზედმიწევნითი ცოდნა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად არსებული და მომქმედი კანონმდებლობისა. ამიტომ ეკონომიური და ფინანსიური კანონმდებლობის რეფორმის განხორციელების დროს ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოწვევა ამ საქმეში თეორეტიულად და პრაქტიკულად გამოცდილ პირებისა.

გარდა ამისა ეკონომიურ და ფინანსიურ კანონმდებლობის პროექტის [illegible] განსაკუთრებული, სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ დაბეჭდილი კანონის ცალკე მუხლი [illegible] იყოს გამოკვეთილი და გარკვეული, რომ ყოველი მუხლის ნამდვილი აზრი, შინაარსი და მთელი მოცულობა (объемъ) განსაზღვრული და ახსნილი იყოს ბოლომდი, [illegible] ნომრები და ტერმინები კანონის კოდიფიკაციის დროს უნდა ჩამოვაყალიბოთ მოკლეთ და გარკვეთ.

ამიტომ ამ დიდი პასუხსაგებ მუშაობისთვის, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობაში, უნდა იქმნენ მოწვეულნი ჩვენი ქვეყნის ყველა შემოქმედი ძალები. დასახულ მიზნის დიდი სიძნელე ეჭვს გარეშეა, მაგრამ ეჭვს გარეშეა მისი აუცილებლობაც.

ნათქვამიდან გამოგვყავს შემდეგი დასკვნა:

ყოველი შეგნებული და მიზანშეწონილი საქმიანობა ბუნებრივად გულისხმობს გარკვეულ მოქმედების გეგმას, რომელიც უნდა ემყარებოდეს წინასწარ გამოკვლევაზედ და წინასწარ-ხედვაზედ. თუ ყოველი კერძო მეურნეობა, (სავაჭრო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება, კოოპერატიული დაწესებულება და სხვა), გულისხმობს წინასწარ შედგენილ ფართო გეგმას, ეჭვს გარეშეა აუცილებლობა ფართო პროგრამის წინასწარი გამომუშავება სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში. სანამ ეს ძირითადი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე არ არის დაყრდნობილი შესაფერ ნიადაგზე, მანამდის ყოველივე შემთხვევითი ლაპარაკი და ფურცლებზე პრესაში წერა „საწარმოო ძალთა განვითარებაზედ" და სხვა არაფერს არ არკვევს და საქმეს ერთი გოჯითაც არ წასწევს წინ.

ბ. გ—ძე.

სპეციალური სკოლა

IV.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მზრუნველ იანოვსკის სწავლა-განათლების სისტემა სრულებით არ უწყობდა ხელს ჩვენში სპეციალურ სკოლის დამკვიდრებას და სასარგებლო ცოდნის გავრცელებას ხალხში. როდესაც კავკასიის ოლქის მზრუნველად დაინიშნა ნ. რუდოლფი - რუსეთის სამრეწველო სასწავლებლების ყოფილი ინსპექტორი, ჩვენ გვეგონა, რომ მთავრობამ განიზრახა კავკასიაში სპეციალური სკოლის შექმნა და განვითარება. მაგრამ სამწუხაროდ იმედი მალე გაგვიცრუვდა. რუდოლფის დროს კავკასიაში საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი საქართველოში სატექნიკო და საპროფესიო სასწავლებლების მაგივრად სოკოებისავით გამრავლდა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები, ეს ვითომდა სახალხო სასწავლებლები, სადაც ხშირად ასწავლიდნენ სამ უცხო ენას: რუსულს, ფრანგულს და გერმანულს; ადვილად წარმოსადგენია, რა შედეგი უნდა მოეტანა ამისთანა სასწავლებელს სადმე ლეჩხუმში, სვანეთში ან ქიზიყში. ეს უცნაური ადამიანი, უფრო სხვანაირად რომ არ მოვიხსენიოთ, უპირველესი მტერი გამოდგა სპეციალურ და საპროფესიო სწავლისა. მან საბოლოოდ დაუკარგა ხალხს ნდობა საპროფესიო სკოლისადმი მით, რომ მხოლოდ საჩვენებლად და ანგარიშებში მისათავსებლად აარსებდა საპროფესიო განყოფილებებს დაწყებითი სასწავლებლებთან. აუარებელი საპროფესიო და სამეურნეო განყოფილება არის აღნიშნული ნ. რუდოლფის ანგარიშებში, მაგრამ ეს განყოფილებები არსებობენ მხოლოდ ქაღალდზე და არა დაბა-სოფლებში. მართალია, თქვენ ჰნახავდით ზოგიერთ დაწყებითი სასწავლებელთან რაიმე საპროფესიო კლასს, მაგრამ ეს განყოფილება არის სრულიად უშინაარსო, როგორც უშინაარსო იყო მთელი სწავლის სისტემა რუდოლფისა.

ყოველი ფერი ამისთანა კლასებში ბ[illegible] დდება რომელიმე გამოფენისთვის, ამ მხარეს აქვს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, ამ გამოფენისთვის წვრთნიან ბავშვებს და არა საქმისათვის. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუდოლფის მუშაობა სწავლა-განათლების საქმეში მეტად უპრინციპო და არა სერიოზული იყო. პრაქტიკული მხარე სკოლისა [illegible] იყო რუდოლფისათვის [illegible]. ამ რიგად რუდოლფის [illegible] გამოუჩნდა სატექნიკო და საპროფესიო ცოდნას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჰქონდა მიღებული სპეციალური სწავლა.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ სპეციალურ სკოლას საქართველოში არასოდეს ბედი არა სწყალობდა, არასოდეს მას პატრონი არ ჰყოლია.

ეს ხომ ასეა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებებისა, სხვაგან ხშირად სპეციალური სკოლა მაინც ჩნდება, იზრდება და ვითარდება; მას უჩნდება გულშემატკივარი პატრონი. ეს ხდება იქ, სადაც მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა განვითარებულია და საჭიროებს საქმოსნებს ფართო მასშტაბით. განვითარებული მეურნეობა და მრეწველობა ვერ კმაყოფილდება მოუმზადებელ მუშაკებით და [illegible] იარაღებით, იგი თხოულობს უფრო მომზადებულ ხალხს, უფრო მომარჯვებულ იარაღს, უფრო ცოდნით დახელოვნებულ პირებს [illegible] მიცემისათვის. შეგნებული მრეწველები აარსებენ შესაფერ სასწავლებლებს და ზრუნავენ ამ სასწავლებლებზედ.

ამისთანა სასწავლებლები ბუნებრივად იზრდებიან და ვითარდებიან. აქ ჩვენ ჯერ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რამდენად აკმაყოფილებს ამგვარი სასწავლებლები პედაგოგიურ მოთხოვნილებებს, ეს ცალკე საკითხია.

ჩვენ აქა გვაქვს საუბარი მხოლოდ იმ ფაქტის შესახებ, რომ ცხოვრებას ყველასთვის თავისი გზა აქვს და თუ მმართველი წრეები ვერ აუღებენ ხელ-მძღვანელობას ცხოვრებას, მაშინ თვით ცხოვრება ჰქმნის ამა თუ იმ საჭირო დაწესებულებას.

სამწუხაროდ საქართველოში არ იყო გაძლიერებული მრეწველობა და ვაჭრობა და ამ მხრივაც სატექნიკო და საპროფესიო სკოლას ჩვენში პატრონი არ აღმოუჩნდა.

დაგვრჩენია ახლა კიდევ ერთი საკითხი გამოსარკვევი: რამდენად განწყობილია სატექნიკო და საპროფესიო სწავლისადმი თანამედროვე ქართველის ხასიათი და ბუნება. როდესაც ამ საგანს გამოვარკვევთ, ჩვენ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორი უნდა მოეწყოს ჩვენში სპეციალური სკოლა, რომ მან სასურველი ნაყოფი გამოიღოს. ყველა ამაზედ ვისაუბრებთ შემდეგ.

მიხეილ თაქთაქიშვილი.

საფუძველი სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობისა

განვლო თითქმის ორმა წელმა მას აქეთ, რაც დათხოვნილ იქმნა ამიერ კავკასიის სეიმი და გამოცხადდა სამი თავისუფალი რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

პირველი თვეები ახლათ დაბადებული სახელმწიფონი მოუნდნენ მწვავე საკითხების გადაწყვეტას: განსაზღვრას სახელმწიფოთა ტერიტორიის საზღვრებისას, შინაური პოლიტიკის შემუშავებას, ლაშქრის შედგენას, სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციას და სხვ.

ამ ფრიად საჩქარო საქმეთა გამო დარჩა უყურადღებოთ მეტად საჭირო საკითხი ფინანსიური უზრუნველყოფა ახლათ დაბადებულ სახელმწიფოთა, და ეს გარემოება აიხსნება საკმაო მიზეზებით.

ამიერ-კავკასიას, როგორც უკვე იყო ნათქვამი არა ჰქონდა თვისი საკუთარი მართვა-გამგეობა და ყოველივე ხარჯი სახელმწიფოს ადგილობრივ დაწესებულებათა და ჯარის შენახვისთვის იფარებოდა რუსეთის ხაზინიდან და იგზავნებოდა სახელმწიფო ბანკიდან საჭირო ფული. ამის გამო ადგილობრივ საფინანსო დაწესებულებათ სრულებით არ უხდებოდათ მუშაობა შემოსავალ-გასავალის ხარჯთ აღრიცხვის შედგენაზე, ხარჯების დასაფარავათ წყაროს მონახვაზე და საბიუჯეტო ხასიათის მუშაობაზე. ყოველივე ეს საკითხი დაიბადა მხოლოთ მაშინ, როდესაც შესწყდა კავშირი რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფოსთან და გამოცხადდა ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

პირველ ხანს ვგონებდით, რომ მივაგენით ადვილს და უბრალო საშუალებას გაჭირვებიდან თავის დახსნისას: რუსეთის საკრედიტო მანეთების მაგივრად დავიწყეთ ბეჭდვა ამიერ კავკასიის ბონების და ამ გვარათ იფარებოდა სახელმწიფოს ჩვეულებრივი ხარჯები. გვეგონა, რომ საფინანსო კეთილდღეობა არ დაქვეითებულა იმიტომ, რომ ქაღალდის ფული პეტერბურგის მაგიერ იბეჭდებოდა თბილისში.

მაგრამ განსხვავება ძველისა და ახლად წარმოშობილების შორის ძლიერ მალე გამოჩნდა.

ეს განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთში, როგორც სხვა სახელმწიფოებში, შესდგებოდა ხოლმე ბიუჯეტი, ესე იგი დამუშავებული ჯამი სახელმწიფო ხარჯებისა, რომლითაც სრულ ჯამს ჰფარავდა სახელმწიფოს შემოსავალი. მაგალითად, 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვით ჩვეულებრივი გასავალი იყო 3 309 523 517 მან., ხოლო არა ჩვეულებრივი ხარჯი 304,045 881 მან., ხოლო ორთავე ხარჯი ერთად შეადგენდა 3.613 569.398 მან. სწორედ ასეთ რაოდენობას შეადგენდა ჯამი სახელმწიფო ხარჯებისა (პირდაპირი გადასახადი, არა პირდაპირი, ბაჟები, სახელმწიფო რეგალიები და სხვა), სულ 3572.169.473 მან. და საგანგებო [illegible]—41 399 925 მან. ხარჯთ-აღრიცხვას გარეშე არ იხარჯებოდა არც ერთი მანეთი და თუ ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევი შემოსავალი არ შემოვიდოდა ხოლმე, რაც დააკლდებოდა შემოსავალს, იფარებოდა სახელმწიფოს ფონდიდან და იწერებოდა როგორც დეფიციტი მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

რაც შეეხება საკრედიტო ბილეთებს, ეს ფული იბეჭდებოდა არა სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ, არამედ მხოლოთ ფულის სტრიალებისათვის და ეს ქაღალდის ფული უზრუნველყოფილი იყო, თუმცა სავსებით არა, ოქროს ფულით.

1914 წლის დასაწყისში ქაღალდის ფული იყო სახმარებლათ 1,7 მილიარდამდე, საბიუჯეტო ბალანსი კი იმავე წლისა იყო 3,6 მილიარდი მან. ბიუჯეტის შესრულების დროს მთელი წლის განმავლობაში გაცემული ფული სახელმწიფო კასებიდან იმავე წლის განმავლობაში ბრუნდებოდა ისევ სახელმწიფო კასებში, ამის გამო შესაძლებელი იყო გაღება 3,6 მილიარდი ხარჯისა, თუმცა თანხა იყო მხოლოდ 1,7 მილიარდი ქაღალდის ფული, ვინაიდგან ერთი მანეთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ტრიალდებოდა.

არავითარი ამგვარი ამბავი არა ხდება ახლად დაარსებულ რესპუბლიკების საფინანსო მეურნეობაში.

უპირველეს ყოვლისა არც ერთს ამ სახელმწიფოს არა აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი და სახელმწიფო ხარჯების ფულს, როდესაც საჭიროა, ხარჯების საზოგადო გეგმა წინდაწინვე არ არის შემუშავებული.

სახელმწიფო ხარჯების უდიდეს ნაწილის დასაფარავათ სამთავე რესპუბლიკას ჯერჯერობით აქვს ერთი და იგივე საშუალება—გამოცემა ქაღალდის ფულისა, ვინაიდგან სახელმწიფო შემოსავალი ფარავს მხოლოთ გასავლის ჯამის უმცირეს ნაწილს. ამ პირობებში სახელმწიფო იძულებულია მიმართოს ხოლმე სულ ახალსა და ახალ ემისიებს. მხედველობაში სრულებით არ არის მიღებული თუ რამდენათ არის საჭირო სახელმწიფოსთვის ქაღალდის ფული.

ეს გარემოება კი უშედეგოთ არა რჩება. ქაღალდის ფული, რომელიც არა ხურდდება და დატრიალდება მცირე ტერიტორიაზე, ძლიერ მალე [illegible] ფულის [illegible] და თუ შევადარებთ ფულის ძლიერ დიდს რაოდენობას საქონლის სიმცირეს, ცხადი მოჩანს, რომ ეს გარემოება ძლიერ აძვირებს საქონელს. ეს პროცესი ძლიერ ჩქარი ნაბიჯით მიდის და შესაძლებელია სანამდე იქამდე მივიდეს, რომ ღირებულება ქაღალდის ფულისა (რა თქმა უნდა, პატარა კუპიურისა) უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე თვით ფული ღირს, ესე იგი ამ ფულის საყიდველი ძალა. ამ წუთიდგან ფულს ეკარგება თვისი ძალა, ვითარცა საშუალებას საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და ეს გარემოება ბოლოს დიდ [illegible] შეიტანს ვაჭრობაში და სრულიად წაახდენს ფულის ტრიალს. ამასთანავე სახელმწიფო ხარჯავს უკანასკნელ დედაბოძს, უკანასკნელ საშუალებას თვისი ხარჯების დასაფარავათ და ამას შეუძლიან გამოიწვიოს არა მარტო საფინანსო კატასტროფა, არამედ [illegible] სახელმწიფოს არსებობისთვის.

ასეთია აუცილებელი შედეგი ქაღალდის ფულის ნაჭარბევი გამოცემისა, უბიუჯეტოთ წარმოება სახელმწიფოს მეურნეობისა და აშკარა ნიშნები მოსალოდნელ უბედურებისა გვიჩვენებენ, რომ საფინანსო კატასტროფა ცხრა მთის იქით არ არის.

სახელმწიფოს საბიუჯეტო მეურნეობა ხასიათდება იმით, რომ ყოველივე ხარჯი, რომელიც აუცილებლათ არის მიჩნეული სახელმწიფო საჭიროების თვალსაზრისით, უნდა იყოს წყარო დასაფარავად და საერთო ჯამი გასავლისა უნდა უდრიდეს სახელმწიფო შემოსავლის საერთო ჯამს. სახელმწიფოს ახალი ხარჯები არ იწერება ხარჯთ-აღრიცხვაში, ვიდრე არ არის აღმოჩენილი წყარო ამ ხარჯების დასაფარავად. ასეთია: პირდაპირი და არა პირდაპირი შემოსავალი, ბაჟები, სახელმწიფო მონოპოლიები და კაპიტალი, სახელმწიფო ადგილ-მამული ჩამოთმევა და სხვა.

არის კიდევ სხვა არა სასურველი მხარე სახელმწიფო მეურნეობის უბიუჯეტო მეურნეობისა.

როდესაც წინდაწინვე შედგენილია შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვა და ნაანგარიშევია საერთო ჯამი სახელმწიფოს შემოსავლისა, შემოსავლის ცალკე მუხლები იწერება დიდის სიფრთხილით: სახელმწიფო საჭიროება, რომლისათვისაც საჭიროა დიდი ხარჯი, ხოლო ძლიერ საჩქარო არ არის, გადიდება ხოლმე და უპირველეს ყოვლისა იხარჯება ფული აუცილებელ საჭიროებაზე,—ესე იგი ხარჯის გეგმა შენდება შემოსავლის მიხედვით.

სულ სხვა მიმართულებას საფინანსო პოლიტიკისას ვხედავთ მაშინ, როდესაც არ არსებობს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა და სახელმწიფოს ხელთა აქვს ისეთი მარტივი და ადვილი საშუალება, როგორიც არის ქაღალდის ფულის საბეჭდი მანქანა. სახელმწიფოს ახალი პროექტები, ყოველგვარი ცვლილებანი და გაუმჯობესობა სწარმოებს სწრაფათ და დიდის გაფართოებით და როდესაც საფინანსო უწყება აცხადებს, რომ საშუალება არა აქვს, და გაფართოება სახელმწიფოს მოქმედებისა და ახალ ახალი პროექტები, რომლებისთვის საჭიროა ას-ასი მილიონები უდროვო არის, პასუხად გაისმის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი პასუხი: დაბეჭდეთ ქაღალდის (ბონები) ამასთანავე ვივიწყებთ ერთს გარემოებას, რომ ყოველივე სახელმწიფო ხარჯი უნდა დაფარულ იქმნას საერთო შემოსავლიდან იმ შემოსავალშიაც კი, როდესაც ეს ხარჯი იფარება ახლად გამოცემულ ბონებით და პირველ შეხედვით ისე სჩანს, ვითომ ეს ხარჯი არ ეხება ხალხის ჯიბეს.

და თუ სახელმწიფოს ეხლანდელ რთულ და მრავალფეროვან მეურნეობის წარმოება უბიუჯეტოთ შეუძლებელია იმ სახელმწიფოებს, რომელთაც უკვე აქვთ გამოცდილება და მკვიდრი გეგმა ხარჯთ-აღრიცხვისა, რაღა თქმა უნდა ბიუჯეტი უფრო საჭიროა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ახლათ იმართავს თავის საფინანსო მართვა-გამგეობას.

ეკონომისტი.

საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატაში

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ განიხილა მცოდნე პირთა და დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით ფინანსთა სამინისტროს კანონ-პროექტი, შესახებ პროპორციანულ გადასახადის დაწესებისა იმ საგნებზე, რომელნიც იბეგრებიან არა-პირდაპირი გადასახადით.

თანახმად კანონ-პროექტისა, ფინანსთა მინისტრს, მთავრობის დასტურით, ეძლევა ნება არა პირდაპირ გადასახადის გადიდებისა კანონ-პროექტის მიერ განსაზღვრულ ნორმამდე საგნების [illegible] გაძვირებასთან პროპორციონალურად.

თათბირმა მიიჩნია ხსენებული სისტემა პრინციპიალურად არა სასურველ მოვლენად, მაგრამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და დაადასტურა კანონ-პროექტი რამოდენიმე ცვლილებით, რომელიც ეხება გადასახადის გადიდებას რამოდენიმე საგანზე.

—

სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი ო. ს. ოგანიანი ეწვია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას ურთიერთშორის დამოკიდებულობის დასაწესებლად და გაეცნო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოქმედებას.

—

სავაჭრო პალატამ თავის წარმომადგენლებათ დანიშნა- პოლონეთში კ. ფ. როლბეცკი და ესპანეთში გ. ქურქჩიშვილი.

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე

ვაჭარ-მრეწველთა მთავარი

კომიტეტი

მიიღებს შემოწირულებას:

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატაში—ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფილ ფრეილინის), № 11.
2. დ. გ. აფხაზი—იტალო კავკასიის ბანკში.
3. ა. ნ. მელიქოვი და ვ. ი. ტერ ზახაროვი—ვაჭართა ბანკში.
4. ნ. ე. წვერავა ამიერ კავკასიის ბანკში.
5. გ. დ. ჟურული—მარგანეცის მრეწველთა საბჭოში.
6. ა. ნ. სეილანოვი—ძმ. სეილანოვების ქარხანა.

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.